

## შეთანხმება

საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“  
და შპს „ყაზბეგი ჰესი“ შორის 2012 წლის 13 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების  
მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი

2 თებერვალი, 2015.

საქართველოს მთავრობა (შემდგომში „მთავრობა“) წარმოდგენილი საქართველოს  
ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის მიერ,

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორი“ (შემდგომში „ესკო“) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ვახტანგ ამბოკაძის მიერ, და

შპს „ყაზბეგი ჰესი“ (შემდგომში „კომპანია“) ს/კ: 241495422, წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი გოგავას (პ/ნ 01024007590) მიერ,

დებენ წინამდებარე შეთანხმებას მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და კომპანიას შორის 2012 წლის 13 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმში (შემდგომში „მემორანდუმი“) ცვლილების შეტანის თაობაზე:


1. შეიცვალოს მემორანდუმის მე-3 მუხლის 3.4 პუნქტის პრეამბულა და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.4 კომპანია ვალდებულია წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში აშენებული ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვებიდან 10 წლის განმავლობაში, ობიექტის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის სრული ოდენობის რეალიზაცია განახორციელოს „ესკო“-ზე წინასწარ გაფორმებული ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით და ამ პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, რის თაობაზეც კომპანია ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე, ხოლო შემდგომ თითოეული საბალანსო წლის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე, წერილობითი განაცხადით აცნობებს „ესკო“-ს შესაბამისი საბალანსო წლის განმავლობაში, ობიექტის მიერ გამომუშავებული სრული ელექტროენერგიის „ესკო“-ზე გასაყიდ მოცულობას, შესაბამისი პერიოდების მითითებით. ამასთან, „ესკო“ იღებს ვალდებულებას, აღნიშნული 10 წლის განმავლობაში შეისყიდოს ობიექტის მიერ გამომუშავებული და ამ პუნქტის შესაბამისად კომპანიის მიერ წინასწარ გაცხადებული ელექტროენერგიის რაოდენობა, ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. „ესკო“-ს მიერ ამ პუნქტით და ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი ელექტროენერგიის ფასი თითოეული წლის ოქტომბრიდან მარტის თვის ჩათვლით განისაზღვრება 6,5 აშშ ცენტის ოდენობით, ხოლო აპრილიდან სექტემბრის თვის ჩათვლით 5 აშშ ცენტის ოდენობით. წინამდებარე 3.4 პუნქტით გათვალისწინებულ კომპანიის ვალდებულებაზე არ ვრცელდება ამ მემორანდუმის 5.2 პუნქტის მოქმედება“.

2. მემორანდუმის სხვა მუხლები და დებულებები დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.
4. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მასთან ერთად. იგი შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.
5. ამ შეთანხმების ფარგლებში წარმოშობილი ნებისმიერი დავა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.
6. მხარეთა ხელმოწერები:


საქართველოს მთავრობა

კახა კალაძე



სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორი“

ვახტანგ ამბოკაძე



შპს „ყაზბეგი ჰესი“

გიორგი ჯოგაძე



## საქართველოს მთავრობის კანკარგულეა

№53 2015 წლის 26 იანვარი ქ.თბილისი

საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის  
კომერციულ ოპერატორს“ და შპს „ყაზბეგი ჰესს“ შორის 2012 წლის 13 ივლისს  
დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის  
თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ და შპს „ყაზბეგი ჰესს“ შორის 2012 წლის 13 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე დასადები შეთანხმების პროექტი.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, შეთანხმებას საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა, კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი ღარიბაშვილი



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
 MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010156566597514

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge  
 24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi Tel: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№11019

17 / დეკემბერი / 2014 წ.



საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის  
 მოადგილეს,  
 ბატონ ირაკლი ხმალამეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2014 წლის 5 დეკემბრის №04/4497 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ყაზბეგი ჰესს“ შორის 2012 წლის 13 ივლისს გაფორმებულ ურთიერთგაგების შემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს. აქვე შევნიშნავთ, რომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ტერმინის – „ენერგეტიკული წელი“ – შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის №77 ბრძანების „ელექტროენერჯის სიმძლავრის ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“ მოქმედ რედაქციასთან.

პატივისცემით,

*გ. ლორთქიფანიძე*

მინისტრის მოადგილე

გოჩა ლორთქიფანიძე




ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი  
Electricity Market Operator

საქართველო, თბილისი, 0114, ბარათაშვილის ქ. 2  
ტელეფონი: 2401420; ფაქსი: 2601915

2 Baratashvili Str., 0114 Tbilisi, Georgia  
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

№ 01/1224

09 12 2014წ.



თანხმობა ხელმოსაწერი  
ურთიერთგაგების მემორანდუმში  
ცვლილებების შეტანის თაობაზე  
შეთანხმების პროექტში

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის  
მოადგილეს ბატონ ირაკლი ხმაღამეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2014 წლის 05 დეკემბრის #04/4500 წერილის პასუხად გაცნობებით, რომ ბაზრის ოპერატორმა განიხილა საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორს“ და შპს „ყაზბეგი ჰესს“ შორის 2012 წლის 13 ივლისს გაფორმებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში („ყაზბეგი ჰესი“) ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც შენიშვნები არ გაგვანაწილა.

პატივისცემით,  
გენერალური დირექტორი

ვ. ამბოვაძე

OFFICE@ESCO.GE • WWW.ESCO.GE

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“  
რეგისტრირებულია ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 07.08.2006; საიდ. კოდი 205170036

ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATOR JSC  
Registered by Tbilisi Tax Inspectorate on 07.08.2006; ID CODE 205170036